ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 268
სამშაბათი, 11 დეკემბერი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12. . .	10 —	6 . . .	6 —
11. . .	9 50	5 . . .	5 50
10. . .	8 75	4 . . .	4 75
9. . .	8 —	3 . . .	3 50
8. . .	7 25	2 . . .	2 75
7. . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ივერია

1877-1901

№ 268
სამშაბათი, 11 დეკემბერი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

„ივერია“

გამოვა 1902 წელს
(დაარსებიდგან მე-25 წელიწადს)

გადიდებულ ადგილობრივ რუსულ გაზეთების ფორმატისა, იმავე პროგრამით, როგორც წინად.

თან-და-თანობითი ზრდა მკითხველთა მოთხოვნილებისა და ის გარემოება, რომ ეხლანდელი პატარა ფორმატი გაზეთისა ხშირად ნებას არ გვაძლევს საჭირო საგნებსა და საზოგადო საკითხებს ჯეროვანი ადგილი დაეთმოს ხოლმე,—გვაიძულებს გავადიდოთ გაზეთი და გავხადოთ იმოდენა, რა ზომისაც ტფილისის რუსული გაზეთებია. ჩვენს გაზეთს ამ რიგად მოემატება ნახევარი იმისა, რაც დღეს არის და მკითხველს მისცემს ყოველ დღე 10 სვეტით მეტს საკითხავს მასალას.

რედაქცია ახალის წლიდგან განსაკუთრებულის ყურადღებით მოეპყრობა ჩვენს სასოფლო-სამეურნეო საკითხებს, ეცდება გაამდიდროს სალიტერატურო განყოფილება გაზეთისა და განსაკუთრებით ვრცლად აღნიშნოს ხოლმე ის მოვლენანი და დღენი, რომელთაც ჩვენში თუ შიდა რუსეთში განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებათ.

ფასი გაზეთისა ისევ თუმანია.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისში:
„ივერიის“ რედაქცია,
ნიკოლოზის ქ. № 21.
„ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიიდგან,
სასახლის ქ. ბანკის ქარვასლა,
ქუთაისში—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში,
ბაქოში—ხიდეკელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოზის ქუჩა, ქალანთაროვის ქარვასლის პირ-და-პირ. **ტელეფონი № 227.**
საფოსტო ადრესი: ТИФЛИСЪ. Редакція „Иверія“.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ს. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი.—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 11—12 საათ.

ექიმი-ქალი მ. ხ. ბაქრაძე ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი. — შინაგან და ბავშვებისა. 5—6 სათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ქართველთა ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში და სახელოსნო სკოლაში იღებენ ყოველგვარ **საქერავს**: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჰკერავენ ნიშნებს (МѢТКИ). ბარონის ქუჩა, № 12.
(20—უ—18)

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 13 დეკემბერს, 1901 წ.
ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ
ვ. ა. აბაშიძის
საბენეფისოდ
წარმოდგენილი იქმნება პირველად ახალი პიესა:

I

უცნაური ხაფანგი

კომედია 3 მოქმედ., თხზ. ნ. გ. ც.

II

რაინდი უშიშარი და უებრო

ოპერეტტა 2 მოქ., მუსიკა ზუპპესი, თარგ ვ. აბაშიძისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, ჩერქეზიშვილი, ლეჟავა, ნებიერიძისა, მდივანი და სხ. ბ-ნნი: აბაშიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, იმედაშვილი და სხვ.

დასაწყისი 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია.

მზადდება: „ბორკილი“,—„პედაგოგები“,—„გაძარცული ფოსტა“.
(2—უ.—2)
რეჟისორი ვ. გუნია

წინამძღოლი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სთხოვს ბ-ნთ თავად-აზნაურთ მობრძანდნენ გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაზედ, რომელიც 8 დეკემბერს, დილის 10 საათზედ ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზშია დანიშნული.

განსახილველად დანიშნულია:

1) არჩევანი თავად-აზნაურთა დეპუტაციისა, რომელმაც **მისს ინპერატორებითს უდიდებულესობას** უქვეშევრდომილესი და **მისს იმპერატორებითს უმაღლესობას დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს** უერთგულესი მადლობა უნდა მოახსენოს.

2) დამტკიცება უქვეშევრდომილესის ადრესისა **ხელმწიფის იმპერატორის** და უერთგულესის ადრესისა დიდის მთავრის **მიხეილ ნიკოლოზის ძის მიმართ.**

3) წესი კანდიდატთა წარდგენისა გუბერნიის თავად-აზნაურთა შვილთათვის კადეტთა კორპუსებში დაარსებულ ვაკანსიებზედ.

4) ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შვილების აღსაზრდელად უმაღლესად ბოძებულ 40 ათასის მანეთის დანიშნულებისა და დახარჯვის შესახებ.

5) დამტკიცება პასუხებისა იმ დეპეშებზედ, რომლებიც საქართველოს იმპერიასთან შეერთების ასის წლის დღესასწაულობის დღეს მიიღო თავად-აზნაურობამ რუსეთის შიდა გუბერნიების თავად-აზნაურობისა და კერძო კაცებისაგან.

6) მოხსენება ბ-ნის როზალიონ-სოშალსკის წერილისა იმის გამო, რომ თავად-აზნაურობის მიერ საქართველოს შეერთების დღესასწაულობის დროს გამართულს სადილსა და ვახშამზედ მიწვევა არ მიჰსვლია.

7) მოხსენება იმ უხერხულობისა, რომელსაც ახალ სააქციზო წესებისა გამო ვენახების პატრონები ითმენენ ჭაჭის არაყის გამოხდის დროს.

8) შუამდგომლობის აღძვრა, რომ 1902 წ. დეკემბერში თავად-აზნაურთა მორიგი კრება იქმნეს მოწვეული. (3—ნ.—3).

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11--12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардіана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

1901 წლის 22 დეკემბერს ტფილისის საკრებულო დარბაზში გამართული იქნება წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ

კონცერტი,

რომლის დასასრულ იქნება ცეკვა ქართულ-ევროპიული. საღამოს დიასახლისად ბრძანდება ეკატერინე ივანეს ასული სარაჯიშვილი დაწვრილებით ცნობა თავის დროზე. ბილეთები საზოგადოების კანცელარიაში იყიდება.

ექიმი

იაკობ ზაქარიას ძე გძელიშვილი

სწამლობს სიფილისს და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე. აქვს შესახვევი მასალა.

ავჭალის ქუჩა, № 85.
(142—242—6).

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

გამგეობა **ბურიის** ამხანაგობისა

„შუამავალისა“

აცხადებს, რომ 16 დეკემბერს 1901 წ., დილის 10 საათზედ ქ. ოზურგეთში, ამხანაგობის კანტორაში დანიშნულია **საზოგადო წლიური კრება** ამა ამხანაგობის წევრთა.

განსახილველია შემდეგი კითხვები: 1) მიღება წესდებისა, შედგენილი ნორმალურ წესდების თანახმად. 2) წარმომადგენლობითა კრების შეცვლა ჩვეულებრივ, ყოველ-წლიურ წევრთა კრებად. 3) განხილვა და დამტკიცება მმართველის მოხსენებისა 1898, 1899, 1900 და

1901 წ. წ. ანგარიშისა. 4) ხარჯთაღრიცხვა მომავალ 1902 წლისათვის. 5) გაუქმდეს თუ არა სახვევსაქსოვი ქარხანა. 6) მიღება იმ წევრებისა, რომლებიც გამორიცხულნი არიან წილის ფულის შეუმსებლობის გამო. 7) განიხილვა თხოვნებისა, შემოტანილის იმ პირთაგან, რომელთაც ბ. კ. თავართქილაძესთან წილის ფული შემოუტანიათ, რომლებისათვის წილის ბარათიც მიუციათ და არსად მოხსენებული არ არიან. 8) შეცვლა 18 თებერვლის 1900 წლის წარმომადგენელ წევრთ დადგენილებისა წლის ფულის გადიდების შესახებ. 9) მიღება წევრის იპლიკჩოლლისა, რომელიც იმავე კრებამ არ მიიღო. 10) ახალ წევრთა და იმ წევრთა მიღება რომელთაც წილი სხვისგან შეიძინეს. 11) გადიდება საბრუნავ თანხისა. 12) გადარიცხვა სათადარიგო და სხვა თანხებისა, ზარალის დასაფარავად. 13) გრენის ყიდვა. 14) არჩევა სამის წლით ერთის გამგე-დირექტორისა და გამგეობის ორის წევრისა. 15) არჩევა ზედამხედველის კომიტეტისა ანუ რჩევის წევრთა. 16) არჩევა ერთის წლით სარევიზიო კომისიის წევრთა.

ვისი ადრესიც არა აქვს გამგეობას, იმათ ცალკე მოწვევის ბარათი არ გაეგზავნებათ.

მმართველი ს. ქეიშეილი.

(5—6.—4)

ახალი ამბავი

⁂ ბ-ნი ივ. ერვიე, რომლის მოკვლა თავის დროზე ვაუწყეთ მკითხველს, დაკლული კი არა, ბაწრით დამღრჩვალი ყოფილა. ბოროტ მომქმედთ მისი სახლიდგან სხვა-და-სხვა ძვირფასი ნივთები გაუტანიათ.

⁂ ქალაქის საყასბოსთან არსებულ მიკროსკოპიულ სადგურის უფროსს ბ. კანცერმახერს განუზრახავს, თუ დასაკლავ ღორების რიცხვმა არ იმატა, ზემოხსენებულ სადგურში დაითხოვოს ზოგიერთი მომუშავენი—ჰრეპარატისტები და მიკროსკოპისტები.

⁂ ოფიციალური ცნობებით, წელს, შედარებით წინა წლებთან, ნამეტანი ცოტა ღორი იკვლის. შაბათობით, მაგალითად, როდესაც უფრო ბევრს ღორს ჰკვლენ, (კვირაობით გუბერნატორის განკარგულებით მუშაობა აკრძალულია), ძლივს ადის დაკლულთა რიცხვი 260-ამდე.

⁂ ოზურგეთიდგან გვწერენ: ერთი უმთავრესი ქუჩათაგანი არის შაკვანეთისაკენ მიმავალი ქუჩა, რომელიც დღეს ისეა გაფუჭებული, რომ ავდარში არა თუ ურემი, ცხენოსანიც კი ვერ გაივლის ზედ. მაკვანეთის საზოგადოებისათვის, რომელიც ზედ აკრავს ოზურგეთს და ყოველსავე თავის ნაწარმოებს ამ ქალაქში ჰყიდის და ყიდულობს, ეს გზა არსებითს საჭიროებას შეადგენს. არა ნაკლებ საჭიროა იგი თვით ოზურგეთისათვისაც, რადგანაც მაკვანეთის საზოგადოებიდგან შემოსულნი გამყიდველნი და მყიდველნი მისი ერთი დამპურებელთაგანნი არიან. ამიტომაც რამდენჯერმე სთხოვეს ამ გზის გაკეთება ოზურგეთის ქალაქის მოურავს ბ-ნ დ. ცეცხლაძეს, მაგრამ, ქალაქის უსახსრობისა გამო მან ვერ შესძლო მთხოვნელების წადილის შესრულება. მაშინ მიჰმართეს მაზრის უფროსს, რომელმაც ქალაქის თავს მიჰმართეთო. უთხრა. მთხოვნელების, გზა ოზურგეთის საზღვარშია და გაკეთებაც ქალაქის თვითმმართველობის საქმეაო. ქალაქის მოურავიც მართალია და მაზრის უფროსიც, მხოლოდ გზა კი უფრო და უფრო ფუჭდება...

⁂ ოზურგეთში (ბზვანში) გამართულის თამბაქოს სამაგალითო პლანტაციის გამგე თ-დი ერ. კაცნაკაშიძე დაუნიშნავთ ჩაისა და ძვირფას კულტურის ინსტრუქტორად გურიაშივე, ხოლო პლანტაციის გამგედ მიწად-მოქმედების სამინისტროს გამოუგზავნია პეტერბურგიდგან ერთი მოხელეთაგანი.

⁂ 7 დეკემბერს, პოლიციაში გამოცხადდა ბებუთოვის ქუჩაზე მცხოვრებელმა თომა ლამაიანცმა, რომ მას მოჰპარეს ოთახიდგან ხელის საკერავი მაშინა და საათი თუჯისა, ღირებულნი 100 მან. ზომები მიღებულია ქურდის აღმოსაჩენად.

⁂ ნაძალადევში მისახლეთ გადუწყვეტიათ: იდღესასწაულონ ათის წლის იუბილეი ნაძალადევის დასახლებისა მომავალი წლის მაისში. ამასთანავე საერთო თხოვნის მიცემას აპირობენ ქალაქის საბჭოში: 1) შეასყიდიან მათ მიწა, რომელიც ეხლა იჯარით უჭირავთ. 2) ქუჩებსა და განათებას გამგეობამ ყურადღება მიაქციოს, 3) ჯერ იჯარით გაუცემელი დიდ მოედანზე გამართონ ყაფანი და იარმუკა და 4) დაუარსონ სკოლა.

⁂ ტფილისში საშუალო სამსახურის პირთ განუზრახავთ დაიარსონ ცალკე კლუბი, რადგან ჯამაგირი და შეძლება ნებას არ აძლევსთ, ეხლანდელ კლუბებში წევრად ჩაწერვისას.

⁂ სოფ. მიქელ-გაბრიელიდან (ოზურგეთის მაზრა) გვწერენ: „აქ მოსავალი სხვა წლებთან შედარებით, წელს ძალიან ნაკლები იყო. რაც მოვიდა, იმასაც დავჯერდებოდით, რომ სხვა მავნებელი სენი არ ამოჩენილიყო. სიმინდის მარცვლებს ჰპელა გაუჩნდა. ეს ამბავი პირველი გაგონებაა ჩვენი ხალხისთვის. მართალია ამას წინეთ ახლო-მახლო გვესმოდა ამაზე საუბარი, მაგრამ ჩვენში აქამდე არ იყო მათი ხსენება“.

⁂ ოზურგეთი: დღეს შესდგა დამატებითი არჩევანი ოზურგეთის ქალაქის რწმუნებულთა, რომელზედაც არჩეულ იქმნენ ხმოსნებათ:

თ. დიმიტრი ერისთავი, მაზრის ექიმი 185 თ., 20 შ.

2. სიმონ გრიაზნოვი, მასწავლებელი (ინსტიტუტის)—195 თ., 93 შ.,

3. ლუკა გოგავა (სამხედრო ექიმი) 188 თ., 17 შ.,

4. იაგორ თაყაიშვილი (ექიმი) 185 თ., 20 შ.,

5. ესტატე ანთაძე (კაპიტანი)—187 თ.,—17 შ.,

6. ტარასი ქიქინაძე (მასწ., აკადემიელია) 184 თ., 21 შ.

7. ივანე მასალკინი (ნატარიუსი—163 თ.,—41 შ.

8. ვასილი ურუშაძე (ინსტიტუტელი)—181 თ.,—23 შ.,

9. გიორგი ბერიძე (პოდპოლკოვნიკი)—182 თ.,—23 შ.,

10. მანასე თოთიბაძე. 188 თ., 16 შ,

11. იერემია შ; ვარდნაძე—168 თ.,—36 შ.,

12. ივლიანე სულუხია—162 თ., —43 შ.,

13. ლომკაცი აბაშიძე—158 თ., 46 შ.,

კანდიდატებათ:

1. თეოფილე იორაიშვილი—155 თ. 49 შ.

2. თაყა სულუქვაძე—142 თ.—62 შ.

3. კონსტანტინე სიამაიშვილი—142 თ. 62 შ.

4. თ. მელქისედეკ ნაკაშიძე—141 თ.—53 შ.

5. მიხაილ კობალაძე—119 თ.—86 შ.

ხოლო ევთიმე დონაძე—101 თ. 104 შ.

და მიხაილ თუმანიშვილი—102 თ. 102 შ., არ იქნენ არჩეულნი.

⁂ 7 დეკემბერს საღამოს 6½ საათზე ნავთლუღში მილლიონის ქუჩაზე ერვანდ პარემუზოვის ძე მანდემონოვის მატყლის გასარეცხ ქარხანაში ცეცხლი გაუჩნდა მატყლის გასაშრობ განყოფილებასა, დაიწვა მხოლოდ იატაკი. ცეცხლი ჩააქრო ცეცხლის ჩამქრობმა რაზმმა. ზარალი ბევრი არ უნდა იყოს. შენობა დაზღვეულია რუსულ დამზღვევ საზოგადოებაში.

⁂ 9 დეკემბერს ღამის სამ საათზე ნაძალადევში გამოცხადდა პოლიციასთან კონსტანტინე გაბრიელის ძე გრიგორიევი და გამოაცხადა, რომ თოფით მოჰკლა ვიღაც უცნობი, რომელიც მისი სახლის ეზოში შესულიყო საქურდლად. მოკლული აღმოჩნდა—ანდრია ბადლაძე.

ტფილისის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.

გაგრძელება *)

გ. დ. ქურულმა ითხოვა, რომ სასმელების მონოპოლია, დღეს თუ ხვალ ჩვენშიაც შემოიღებენ; ეხლავე ვეცადოთ, რომ იმ წესებით არ იქმნეს შემოღებული, როგორც შიდა რუსეთშია, სადაც ბევრი სამდურავი ისმის მისს წინააღმდეგო. ასევე იქცევა ბესსარაბიის ერობაო.

კრებამ დაადგინა გ. დ. ქურულის მოხსენება, გარდაეცეს იმავ კომისიას განსახილველად, რომელიც განიხილავს შალიკაშვილის მოხსენებას, მხოლოდ იმ პირობით, რომ კომისიამ ამ საგნის შესახებ თვისი აზრი წარმოუდგინოს თავად-აზნაურთა კრებას განსახილველად.

გ. დ. ქურული ამბობს: კარგი იქნება, რომ ეს ჩემ მიერ წარმოდგენილი მოხსენება შესახებ მონოპოლიისა, არ დაგვიანდეს და მთავრობას ეთხოვოს შეღავათი, ვიდრე გადაწყდება მთავრობისაგან ჩვენში მონოპოლიის შემოღება.

კომისიის წევრებად ამ ზემოხსენებულ ორ მოხსენებად (თავ. შალიკაშვილისა დ. გ. ქურულის) განსახილველად აღმორჩეულ იქმნენ: თ-დნი ლ. გ. ჯანდიერი, ი. ი. შალიკაშვილი, ი. ზ. ანდრონიკაშვილი, ს. რ. ვახვახიშვილი და ვ. მ. მაჩაბელი.

შემდეგ ამისა წაკითხულ იქმნა კავკავის მომავალ კადეტთა კორპუსის დაარსება მთავრობის მიერ და უმაღლესი ბრძანება, რომ ტფილისის და ზაქათალის თავად-აზნაურთ შეეძლებათ იმ კორპუსში 133 ყმაწვილი გამოზარდონ უფასოთ.

გუბ. წინამძღოლი მელიქიშვილი ამბობს: კარგი იქნება, რომ გავიგოთ ჩვენი ხვედრი სტიპენდიების რიცხვი და საერთო არა გვქონდეს რა ზაქათალის მაზრასთანო.

შალიკაშვილმა სთქვა 133 სტიპენდიიდგან უსათუოდ უნდა გამოვაცალკევოთ ჩვენი ხვედრი სტიპენდიებიო.

აფხაზი ივ. დიმ—ძის აზრით ჩვენ ხელს არ მოგვცემს, რომ განვაცალკეოთ ზაქათლისა და ჩვენი სტიპენდიები, რადგან შეიძლება შევცდეთ, მეტი რიცხვი დაენიშნოთ მათ და მათ კი არ აღმოუჩნდეს სტიპენდიების ამთავნი კანდიდატები, რადგანაც იქ თავად-აზნაურობა ძლიერ ცოტაა.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ კრებამ გარდასწყვიტა: ზაქათალის მაზრას მიეცეს განსაზღვრული რიცხვი სტიპენდიატებისა და თუ იქ, არ აღმოჩნდეს მათი ხვედრი სტიპენდიების ამთავნი კანდიდატები, მაშინ ის სტიპენდიები დაენიშნოს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ.

შემდეგ კრებამ განიხილა და დაამტკიცა, რომ კადეტთა კორპუსში შესვლის მსურველთა სიები შეადგინონ უსათუოდ დეპუტთა საკრებულოში, გასინჯონ მაზრის მარშლებმა, განხილულ იქმნეს გუბერნიის წინამძღოლისა და გუბერნატორის მიერ და შემდეგ მთავარ მმართებელს წარედგინოს დასამტკიცებლად.

კრების თავმჯდომარემ თავ. დ. ზ. მელიქიშვილმა მისცა კითხვა თავად-აზნაურთ, რა უყოთ და როგორ მოვიხმაროთ ის ოთხი ათასი თუმანი, რომელიც დაგვენიშნა ყოველ წლივ მთავრობისაგან ტფილისის და ქუთაისის გუბერნიების თავად-აზნაურთ სწავლა განათლების გასავრცელებლათო? ამ საქმისათვის იყო ამორჩეული კომისია შემდეგ პირთაგან ნ. ვ. არღუთაშვილი, ა. ი. ბაგრატ.-მუხრანსკი, ი. ს. გოგებაშვილი, გ. დ. გაბაშვილი, ნ. ზ. ცხვედაძე, რომელთაც მიენდო, განეხილათ, როგორ მოვიხმაროთ ზემოხსენებული ფული. კომისიის მოსაზრებით ფული უნდა განაწილდეს ასე: ორი ათასი თუმანი რომელიც ტფილისის გუბერნიას ხვდება, გაიყოს სამ ნაწილად: 7550 მან. გადიდვას უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლეთ დასახმარებლათ, 7450 მან. მოხმარდეს საშუალო სასწავლებელში მოსწავლეთ და 5000 მან. ბავშვების საშუალო სასწავლებლისათვის მომზადებას.

უმაღლეს სასწავლებელში მოწაფეთათვის გადადებული 7,550 მან. განაწილებულია ამ გვარად: დაინიშნოს 5 სრული სტიპენდია თვითოს 400 მან., 8 ნახევარ-ნახევარი სტიპენდია 200 მანეთიანი,; ათ-ათი თუმანი მიეცეთ 25 ყმაწვილს ლექციებზედ თავისუფალ მსმენელთ. ქალიშვილებისათვის დაინიშნოს ორი სრული სტიპენდია 500 მან., 2 ნახევარ-ნახევარი სტიპენდია 250 მან. და 200 მან. საშუალო სასწავლებელში მოწაფეთათვის გადადებული 7450 მან. განაწილდეს ასე: 10 ბავშვს დაენიშნოს თითოს 300 მან.; 11 ბავშვს თითოს 200 მან.
დაენიშნოს სასწავლებლის ფუ
თვითოს 60 მან. 16 ქალიშვი
დაენიშნოს სწავლების ფული თ
თოს 70 მან. 5000 მანეთი გან
წილდეს საშუალო სასწავლებლ
სათვის ყრმათა მოსამზადებლად
რიგათ: 11 მოსწავლეს პანსიონ
რებს ოცდა ათ-ათი თუმანი წ
ლიწადში; 10 მოსწავლეს ათ-ათ
თუმანი წელიწადში; 10 ქალიშვი
ათ-ათი თუმანი.

შემდეგ ამ კომისიის მოსაზრებ
წაკითხვისა წაკითხულ იქმნა წერ
ლი ქუთაისის გუბერნიის აზნა
რობის წინამძღოლის თავ. ს.
ლორთქიფანიძისა, რომელიც უ
ჩევს თავად-აზნაურობას, შევერთდ
ერთად და გავხსნათ სამეურნ
სკოლაო

(შემდეგი იქნება)

თეატრის მატიანე

„პატარა-კახი“ ისტორ. დრამა 4 მოქ
აკაკისა და „დუელი“ ვოდ.—რუსულ გ
გალუსტოვის მიერ.

კვირის წარმოდგენა რომ გ
გონდება, გული სიამით გვევ
და ჩვენი თეატრის დაქვეითე
პირქუშ აჩრდილს თითქოს უ
კრულისაკენ მიმავალსა ვხედ
არც შეიძლება—ტკბილი იმ
სხივ-ვით არ ჩაგვქრას გულში, რ
დესაც თეატრის დარბაზს ხალ
გაჭედილსა ჰხედავ და ამ ხალ
სახეზედ-კი სადღესასწაულო სუ
ერ განწყობილებას ჰკითხულობ.

ამის მიზეზი ერთის მხრით
ჩვენი სასიქადულო მგოსნის დრ
ტიულ პოემაა, მეორეს მხრით მ
ხიობნიც არიან.

„პატარა-კახის“ მუსიკობით
სავსე ლექსი, დიად მხატვრუ
შედარებები და ბრწყინვალე პ
ვნება ჩვენი საერო გმირთ-გმირ
ირაკლისა ჯადოსნურ ძალ
ჰხიბლავდა მაყურებელს და სხ
ში სასიამოვნო ჟრუანტელს
ლიდა. ამის გამო ბედნიერ
ზრახვად მიგვაჩნია თეატრის
გეობისა და რეჟისორის მიერ
ტარ-კახი“ ჩვენს სცენაზედ დ

კვირის წარმოდგენამ ერთ
დევ სანუგეშო-რამ გვითხრა,
მაც, ცოტად თუ ბევრად,
გაგვიფანტოს ის ეჭვი, რომ
ში აღკვეთილი როდია მ
ნიჭიერ მსახიობთა დაბად
და რომ ეს ეჭვი, ჩვენდა უ
რად, უნდა აღგვძროდა გულ
ამის მიზეზი ის გარემოებაა,
ქართულის სცენის მსახიობთა
თაობა აქამდის უნაყოფოა.
კუთრებით ქალთა გუნდი.

ქ-ნი ლეჟავა სწორედ „ის
დია, რომელმაც განფანტა
ბული ეჭვი და ტურფას რ
აღსრულებით სრული ს
მოგვცა—ვიფიქროთ, რომ
მომავალში იგი ჩვენის სცენ
ნამორბედ მსახიობ-ქალთ გვ
ამოუდგება. იმის გარდა, რო
მსახიობ-ქალმა გამოიჩინა ს
არტისტიული ალღო გრძნ
შეთვისება—გადმოცემისა, მა
თანავე გვაჩვენა, რომ ეს მად
ნიჭი განთესილია გონიერ დ
რიან ნიადაგზედ—. ქ-ნი დ
ტურფას როლს ისე თამაშ
როგორათაც გამოცდილი დ
ხელოვნებული მსახიობი. ტ

---

*) იხ. „ივერია“ № 267.

არსებაში გრძნობათა ცვალებადობა ხშირია და ანაზდეული. კდემა-მოსილი სილაღე ახლად გაფურჩვნილის ადამიანისა, უმანკო კოპწიაობა როგორათაც ყოველი ქალის ბუნებრივი თვისება, სულის კვეთება, სიხარულით, თუ მწუხარებით გამოწვეული, ყველა ამ თვისების სცენაზედ განხორციელება დიდ დაკვირვებას მოითხოვს მსახიობისაგან და, ღვთის წინაშე,—ყველა ეს ქ-ნმა ლეჟავამ თვალ ნათლივად გვაჩვენა და გვაგრძნობინა.

სახეზედ გრძნობათა აღბეჭდილობა ჰარმონიულად უერთდებოდა როლის ამა თუ იმ წამის შინაარსს და ამის გარეითად, თვით სიჩუმის დროსაც-კი მსახიობის სახეს მეტყველება ემჩნეოდა. ერთის სიტყვით, ქ-ნი ლეჟავა, დუმილით არის მოცული, თუ საუბარში გართული,—თანასწორის შთაბეჭდილებით გადმოგვცემს იმ ადამიანის სულთასწრაფვას, რომელსაც იგი აპიროვნებს. როლის ამ გვარ მხატვრულ გადმოცემას არ შეეფერებოდა მხოლოდ ტურფას ტანისამოს—სამკაული. ქ-ნ ლეჟავას ამ დროინდელ გლეხის გოგოსავით ეცვა და ისიც მოუხდენლად, რაც ეწინააღმდეგება ტურფას კოპწია და ლაღ ბუნებას, მაგრამ ეს ხომ დანაშაულად ბ-ნ რეჟისორს უნდა ჩაეთვალოს.

ბ-ნი გამყრელიძე მშვენიერი გელა იყო. მისი კეთილ-შობილური რიხიანი ხმა, დრამატიზმით გაჟღენთილი, სრულის სავსებით შეეფერებოდა სამამულიშვილო გრძნობის მქადაგებელს ბრმა-მოხუცის მრავალ-ტანჯულ არსებას. იყო წამები, როდესაც ამ მსახიობის მიერ გადმონაცემი მგოსნის აღგზნები სიტყვები, შენდა უნებურად, თვალებზედ ცრემლსა გვგვრიდნენ. მხოლოდ ერთ რამეს შევნიშნავ ბ-ნ გამყრელიძეს—ეცადოს გადაეჩვიოს ხელების ქნევას... ნუ დაივიწყებს, რომ საიდუმლოება მის მიერ შთაბეჭდილების აღძვრისა—მოთავსებულია მის ხმაში და არა უხეშ მოძრაობაში. შეუხამებელი იყო აგრეთვე ის წამი, როდესაც რამაზაშვილის ლაპარაკის დროს უეცრად თავი მოიმძინარა და უხერხულად წამოწვა.

პატარა კახის როლი ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ბ-ნი იმედაშვილი დასძლევდა ამ სიძნელეს, რომ პირველ გამოსვლისათანავე არ შემკრთალიყო და ხმა დაბლა არ დაეშო. ამის გამო შესანიშნავი, შეუდარებელის ლირიზმით აღსავსე მონოლოგი სალამურის შესახებ—„გამიგონია, ვითომც ლერწამი“ გაუფერულდა და სხვა მსახიობთაც ჰანგი შეეშალათ. მხოლოდ ბ-ნ შათირიშვილის (რევაზ ბებურიშვილი) გამოსვლამ გამოაფხიზლა და გამოაკეთა მეორე მოქმედება. სამაგიეროდ ბ-ნმა იმედაშვილმა უკანასკნელს მოქმედებაში გაშალა დაშვებული ფრთები და საზოგადოებას თავი მოაწონა.

ბ-ნ ჰელიძეს (გივი) ქართველ გმირის ბუმბერაზობა აკლდა, გარნა როლი მშვენივრად იცოდა და ლექსსაც კარგად კითხულობდა.

სვიმონიძე კარგი იქნებოდა ქვაბულიძედ ხელში, როლი რომ სცოდნოდა.

ბ-ნ ივანიშვილს პირველად ვხედავთ სცენაზედ და უსამართლობა იქმნება, რომ არ აღვნიშნოთ მისი მართლა და მეფური შეხედულება, მიხვრა-მოხვრა და კეთილშობლური კილო—ხმა.

მსახიობთა საერთო ნაკლულოვანება იმაში გამოიხატებოდა, რომ ლექსებს სიმღერულ იერით კითხულობდნენ, რის გამოც საუბარს ბუნებრივობის ელფერი ეკარგებოდა.

მოწყობით „პატარა-კახი“ ვერ იყო მოწყობილი, მაგრამ ეს ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა ჩვენს სცენაზედ. უტანისამოსობა, ურეკვიზიტობა და სხვა ამ გვარი უსახსრობა მართალია შესამჩნევად აძნელებს საქმეს, მაგრამ არ შეიძლება მაინც არ ვუსაყვედუროთ რეჟისორს, რომ ქართველ დედოფალს ევროპიულ მეფეების გვირგვინს ადგამს თავზედ და მეომართ-კი „რუსულ“ კონდახიან თოფებით აიარაღებს. ხომ ეწევი ხარჯს თოფების გაკეთებაზედ და ისევ ის არა სჯობია, ამ ხარჯით შესაფერისი თოფები გააკეთებინო. დანარჩენ ნაკლულოვანებათ არ გამოვუდგებით და მხოლოდ აღვნიშნავ, რომ ქვაბულიძის გვამი უხერხულად დაასვენეს სცენაზედ, რის გამოც მაყურებელი ვერ ჰხედავდა ქ-ნ ლეჟავას სახეს უკანასკნელ გამოსვლის დროს.

ვოდევილი „დუელი“ მხიარული ნაწარმოებია და ჩვენმა მსახიობებმა მშვენივრადაც წარმოადგინეს. ქ-ნი ჩერქეზიშვილისა, ბ-ნნი აწყურელი. სარჯველაძე და სხვანი ერთი მეორეზედ უკეთესები იყვნენ. მაგრამ ყველაზედ უმშვენიერესი და უსასაცილოესი მშიშარა იაშვილის როლში გახლდათ ბ-ნი გედევანოვი, რომლის თითოეული მოძრაობა თუ სიტყვა ჭეშმარიტის მხატვრობით იყო აღბეჭდილი.—

წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო; სხვათა შორის წარმოდგენას დაესწრო აგრეთვე ჩვენი ძვირფასი მგოსანი აკაკი, რომელსაც ხალხი და განსაკუთრებით-კი მოსწავლე ახალგაზდობა აღტაცებით მიეგება. ქ-ნ ლეჟავას ბედნიერ წილად ჰხვდა საზოგადოების წინაშე ბ-ნ აკაკისთან კერძოდ გამოსვლა

ინზენ.

დაბა და სოფელი

—

ქ. გორი, 5 დეკემბერი. როგორც იქმნა მოუხერხა გორის ქართველ კათოლიკეთა პატივცემულმა პატრმა გაბრიელ ასლანიშვილმა და მესხეთიდგან გორში რამდენიმე კომლი გლეხი ქართველი კათოლიკე გადმოასახლა. ეს ქართველი კათოლიკე გლეხები სოფ. უდელები არიან, რომელიც ახალციხის მახლობლად სძევს ქვაბლიანისაკენ.

ამ სოფელში ბოლოს დროს ხალხი ძრიელ გამრავლდა; რაც 40 წლის წინედ იყო, დღეს ის აღარ არის, სახნავ-სათესი და სავენახე ადგილები-კი იგივე შეჰრჩათ, რაც ადრე ჰქონდათ; ამიტომ გლეხ-კაცობა დიდს გაჭირვებაში ჩავარდა და აღარ იცოდა, რა ექმნათ, საით წასულიყვნენ. ამ დროს მათ გამოუჩნდა პატივცემული გორის პატრი გაბრიელ ასლანიშვილი და ამან იმეცადინა, როგორც იყო, გზაზედ დააყენა.

ასე რომ არ მომხდარიყო, მაშინ ეს გლეხებიც სათათრეთისაკენ აპირებდნენ წასვლას. ასევე ჰქმნეს ამ 40 წლის წინად სოფ. ხიზაბავრელმა უმიწაწყლო გლეხებმა; რამდენიმე კომლი ამ სოფლიდგან არტაანისა და ალექსანდრეპოლისაკენ გადასახლდა და ისე მოეწყო საქმე, რომ ამ 40 წელიწადში ქართული ენა სრულიად დაჰკარგეს, სომხურსა და თათრულს ენაზედ ლაპარაკობენ და შერაცხილ არიან, ვითარცა „სომეხ-კათოლიკენი“. ამ გლეხებსაც უთუოდ იგივე მოელოდათ, თუ ეს ბედი არა სწევოდათ.

გლეხებს გორში ადგილები აუღიათ იჯარით პატივცემულის თავ. დიმიტრი ერისთავისაგან, რომელსაც სიამოვნებით დაუთმია ამათთვის ორასი დესეტინამდე ადგილი. ამ ადგილებს გარდა გორის ქართველ კათოლიკეთა ეკკლესიის ადგილებიც მისცეს მათ, დროებით რამდენიმე კომლი ხსენებულისავე ეკკლესიის შენობაში არიან მოთავსებულნი.

ამ გლეხთა გაჭირვებისათვის პატივცემულს სტეფანე კონსტანტინეს ძეს ზუბალოვს ყურადღება მიუქცევია და ამ ხანად 200 მან. გაუგზავნია, რომ გლეხებმა ამითი საქონელი იყიდონ. ბ-ნი სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი სხვა დროისთვისაც დაჰპირებია დახმარებასა. გლეხკაცობა პატივცემულს სტეფანეს დიდათ ემადლიერება და მათს ოჯახს ღმერთს ავედრებს.

ამავე გლეხთა გარემოებისათვის დიდი თანაგრძნობა გაუწევია აგრეთვე პატრს ანსელმო მღებრიშვილსა.

იმედია, ახალ მოშენე მესხელ გლეხკაცობას არც სხვები დასტოვებენ უყურადღებოდ და ხელს შეუწყობენ. ამ გლეხთა ქართლში გადმოსახლებას, ეჭვი არ არის, დიდი მნიშვნელობა ექმნება, რადგანაც კარგად იციან კარტოფილისა და კომბოსტოს თესვა, ერბოს და კარაქის კეთება და მასთან კარგის ხილის მოშენებაც, რისთვისაც მათ უკვე ხელი მიუყვიათ.

ვინატრებთ სულით და გულით, რომ ახალმოშენე გლეხებს ადგილობრივმა ქართველმა კათოლიკობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და რამე ნაირად დახმარება აღმოუჩინოს. გლეხთა გარდმოსახლება რომ არ მომხდარიყოს, უამისოდ ადვილი შესაძლებელია, გორის ქართველ კათოლიკეთა ეკკლესია დაკეტილიყო, რადგანაც კათოლიკეთა რიცხვი ძრიელ შემცირდა, მათი რიცხვი სულ 40 სულს შეადგენდა და ეხლა კი 200-ზედ მეტი იქმნება.

ზ—ია.

ნარკვევი

—

საერო განათლების მინისტრის მიერ უმაღლესის ბრძანებით დაწყებულმა სასკოლო რეფორმამ, როგორც მოგეხსენებათ, თითქმის მთელი რუსეთის საზოგადოება აალაპარაკა და შესძრა, მაგრამ არსებითაც ამ ცვლილებას რამდენად კეთილი შედეგი ექმნება, ამას ამტკიცებს შემდეგი მაგალითი თვით განათლებულ პედაგოგებმა, რომელსაც „С.-Петербургскія Вѣдомости“ იუწყება:

„ერთს გიმნაზიაში (პეტერბურგისა არ არის), ჟურნალ გაზეთებში აღძრულ ლაპარაკის შემდეგ, რომ მოწაფეებს ნება მიეცემათ გიმნაზიაში ჟურნალი გამოსცენო, საკლასსო აღმზრდელს მეშვიდე კლასსის მოწაფეებისათვის აი, რა სიტყვებით მიუმართნია:

— რა სისულელე მოუგონიათ... რაღაც ჟურნალებია! ვინ იცის, რა საძაგლობას არ დაიწყებენ... რისგან წარმოსდგება ყოველგვარი თავისწვეროპა და თავისუფლება? ჟურნალებისგან! მერე რას დასწერთ ამ თქვენს სულელურს ჟურნალებში? პასკვილებს მასწავლებლებზედ? ფუ!

მაგრამ სამაგალითო სიტყვამ საკლასო აღმზრდელისამ მოწაფენი თურმე ვერ შეაშინა და უმეტესობამ მაინც გარდასწყვიტა, ჟურნალის გამოცემის ნებართვისათვის დირექტორისათვის მიემართათ.

— არასოდეს ამ გვარს არასფერს სამინისტრო ნებას არ დაგრთავთო,— უპასუხნია დირექტორს.

მაშინ მოწაფეებს, პირდაპირ დირექტორისათვის უთხოვნიათ, რომ თვითოეული № მისის ცენზორობით გამოცემულიყო, მაგრამ არც ამაზედ დათანხმებულა და გადაჭრით გამოუცხადებია: „თუ რომ ერთი ნომერიც არის ოდესმე გაჰბედეთ და გამოეცით, იცოდეთ, ყველა მისს გამომცემლებსა და რედაქტორებს სასწავლებლიდგან გამოგაბრძანებთ! გამშორდითო!

სასამართლოს მატიანე.

—

დვალიშვილების საქმე.

სამშაბათს, 4 დეკემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველმა დეპარტამენტმა გაარჩია საქმე ქუთაისის მაზრის მცხოვ. კირილე და ნესტორ მდვალიშვილებისა, რომელთაც შემდეგი ბრალი ედებოდათ: რამდენიმე თვის წინად ნ. მდვალიშვილს წაუყვანია კირილე თავის სოფლიდგან სადღაც. ამათ უნდა გაევლოთ „ჯორის ფეხის ნაკრავზე“. ხალხის რწმუნებით ეს ადგილი ისეთი საშიშია, რომ დაღამებიდგანვე ბოროტი სულები კაცის სახით გამოდიან და გამვლელ-გამომვლელთ შიშით ზარსა სცემენ. როცა „ჯორის ფეხის ნაკრავზე“ მდვალიშვილები მიდიოდნენ, შენიშნეს თურმე რაღაც ლანდი, რომელიც უძრავად იდგა და რამდენჯერმე შეხმაურებაზე მათ ხმა არ გასცა; როგორც ბრალდებულთ ოლქის სასამართლოშიაც განუცხადებიათ, ეს ლანდი „ეშმაკი“ ჰგონებიათ. მივარდნიან და ხანჯლებით თუთხმეტ ალაგას დაუჭრიათ, რომელთაგან ექიმების შემოწმებით 6 ჭრილობა სასიკვდილო გამომდგარა. მდვალიშვილებს „ეშმაკისათვის“ 50 მან. ჯიბიდგან ამოუცლიათ და წასულან, მაგრამ მათ-და საუბედუროდ იმ ადგილს დარჩენიათ ჯოხი, რომლითაც ადგილობრივ პოლიციამ მიაგნო პატრონს და საქმე შეუყენებია. მოკლული აღმოჩენილა ბრალდებულთა მეზობელი ისაკ მდვალიშვილი. ქუთაისის ოლქის სასამართლოში ბრალდებულთ თავი დამნაშავედ არ უცვნიათ და უთქვამთ, რომ მათ ეს შეემთხვათ უცაბედად, რადგანაც „ჯორის ფეხის ნაკრავი“ ადგილი ისეთი ნაძრახია, რომ მოკლული ბოროტ სულად მოგვეჩვენა და როცა შევეხმაურეთ, თუ ვინ იყო, პასუხი არ მოგვცა, შიშისაგან მივცვივდით და მოვკალითო, ხოლო 50 მან. მეორე დღეს ამოვაცალეთო. მეორე დღეს ბრალდებულნი მათის სიტყვით „ჯორის ფეხის ნაკრავზე“ მიბრუნებულან მიტომ, რომ შეეტყოთ, თუ ვინ და რა სულიერი იყო მათგან დაჩეხილი არსება. ოლქის სასამართლოს ბრალდებულთა ჩვენება არ შეუწყნარებია, დამნაშავედ უცვნია იგინი და გარდაუწყვეტია ყოველივე პირადად თუ მდგომარეობით მოპოვებულ უფლება—უპირატესობათა ჩამორთმევა და ნესტორ მდვალიშვილისათვის 10 წლისა, ხოლო კირილე მდვალიშვილისათვის 6 წლით და 8 თვის ვადით მადნის სამუშევრად გაგზავნა ბრალდებულთ ეს განაჩენი გაუსაჩივრებიათ პალატაში, რომელმაც დამნაშავედ იცნო ბრალდებულნი და დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება.

დეპეშა

„(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)“

8 დეკემბერი.

პეტერბურგი. «Прав. Вѣстн.»-ში დაბეჭდილია: „21 ნოემბერს, ვარშავაში, შუადღის 12 საათზედ, „იერუსალიმის ხეივანში“, სადაც მრავალი ხალხი სეირნობდა, გამოჩნდა პატარა ჯგუფები, რომელნიც შესდგებოდნენ 6—10 კაცისაგან, უმეტესად მოსწავლეთაგან და რომელნიც მარშალკოვსკის ქუჩისაკენ მიდიოდნენ. ეს ჯგუფები შეერთდნენ და გაჩერდნენ გერმანიის საკონსულოს სადგომის წინ; შეგროვილებმა, რომელთა რიცხვიც 80-მდე იყო, დაუშინეს ქვები, ჯოხები და სხვა საგნები საკონსულოს ქვედა სართულის ფანჯრებს, სადაც კანცელარია არის მოთავსებული და ზედა სართულისას, სადაც თითვონ კონსულის ბინაა; ამასთანავე ჩამოგლიჯეს საკონსულოს ღერბი, დაამტვრიეს იგი და ქუჩაში გადისროლეს. ეს უწესოება, ყვირილი და სტვენა ცოტა ხანს გაგრძელდა: მიღებულის ღონისძიებით წესიერება აღდგენილი იქმნა და ბევრი მანიფესტანტი კიდეც დაატუსაღეს. გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით, დამნაშავე 21 კაცი დასჯილ იქმენა გენერალ-გუბერნატორის სავალდებულო დადგენილების მიხედვით; სახელდობრ, დაპატიმრებულ იქნებიან ორი კვირიდგან 3 თვემდე: ვარშავის უნივერსიტეტის 9 სტუდენტი, პოლიტეხნიკუმის 3 სტუდენტი, 4 მოსწავლე კერძო სასწავლებლებისა და 5 სხვა-და-სხვა წოდების პირი. დემონსტრაციის დღეს გენერალ-გუბერნატორმა თავისი მწუხარება გამოუცხადა ამ შემთხვევის გამო გერმანიის კონსულს და მეორე დღეს ოფიციალურად სადარბაზოდ იყო მასთან. 27 ნოემბერს გერმანიის საკონსულოზედ კვლავ გამოჰკიდეს ღერბი.“

დანიშნულ იქმნენ: მე-6 სამხედრო კორპუსის უფროსი ინფანტერიის გენერალი გრიპენბერგი ვილნოს სამხედრო ოლქის ჯარების უფროსის თანაშემწედ; მე-14 ქვეითა დივიზიის უფროსი გენ.-ლეიტენანტი ფადეევი—მე-6 სამხედრო კორპუსის უფროსად.

ბომბეი. სულთანმა გაუგზავნა კოვაიტში შეიხს მაბარუკს ელჩი და სთხოვს კონსტანტინეპოლში ჩამოვიდეს და მორჩილება გამოუცხადოს სულთანს, როგორც მისს მფარველს. სულთანი დასჯას ემუქრება შეიხს, თუ მისს ბრძანებას არ აასრულებს. სულთანის ელჩი მოვიდა ოსმალეთის გემით, მაგრამ, როგორც ხმა დადის, ნაპირზე გადმოსვლის ნება თურმე არ მისცეს, მაბარუკმა კიდევ ერთხელ მიჰმართა ინგლისსა და მფარველობა სთხოვა, რადგანაც ოსმალეთის სულთანი და ემუქრება სულთანი ნეჯაც რომელსაც, როგორც ამბობენ, ოსმალეთის ჩაგონებით ჯარები შეუგროვებია შეიხის წინააღმდეგ. ამ ჟა-

მად კოვეიტში ორი ინგლისური სამხედრო გემი იმყოფება.

ლონდონი. 7 დეკემბერს რუსეთის დელეგატებმა დაათვალიერეს ლონდონში ხორბლის ბირჟა და ნავთსადგური, სადაც რუსეთისათვის გემებს აშენებენ.

ლონდონი. როგორც ხმა დადის, დაუყოვნებლივ თურმე შეაგროვებენ იომანრის ჯარის 2000 კაცსა და იანვრისა და თებერვლის განმავლობაში სამხრეთ-აფრიკაში გაგზავნიან. გამოცხადდა სამხედრო სამინისტროს ბრძანება იმის შესახებ, რომ მილიციის 6 ახალი ბატალიონი შესდგეს.

გრაფრეინეტი. 7 დეკემბერს დაიწყო ბურების სარდლის შეპერსის საქმის გარჩევა; სხვათა შორის ჰბრალდება: ინგლისელის [illegible] მოკვლა მატარებლების ლიანდაგიდგან გადაგდება და ტყვეების წვალება. სულ შეპერსს 30 სხვა-და-სხვა დანაშაულობა ჰბრალდება.

ლონდონი. „Times“-ს ატყობინებენ ბრიუსელიდგან: ლეიდსმა სთქვა, რომ როზბერის განცხადება ვითომ ბურები აქაურ მკვდირთ ჰულეტავდნენ, ცილის წამება არისო. შემდეგ ლეიდსმა განაცხადა, რომ არავინ იმათგანი, ვისაც მოლაპარაკება ჰქონია ბურებთან, უკანასკნელთ არც გაულახავთ, არც მოუკლავთ; პირიქით, ვინც ინგლისელს სარდლებისაგან მოვიდა მოსალაპარაკებლად, ყველას მეგობრულად იღებდნენ ბურებიო; რაც შეეხება მორგენდალს, რომელიც დევეტის ბრძანებით დახვრიტეს, ის შუა-კაცი არ ყოფილა და მოსალაპარაკებლად როდი მისულა ბურებთანაო.

პარიჟი. კასსანიაკი სწერს „Autorte“-ში, რომ იმ წერილის გამო რომელიც შეეხებოდა გერმანიასთან სახალშენო შეთანხმებას, მას ბევრ საპატიო კაცთაგან თანაგრძნობის წერილი მოუვიდა; ესენი კასსანიაკს მამაცობას ულოცავენ რომ ასეთი პროექტი წარმოადგინა. კასსანიაკი აცხადებს: „მას შემდეგ, რაც საფრანგეთმა მიიღო მონაწილეობა კილში გამართულ დღესასწაულში და მას შემდეგ, რაც ჩინეთში თავისი ჯარები გერმანიის სარდლის უფროსობის ქვეშ დააყენა, მამაცობა აღარ არის საფრანგეთს გერმანიასთან შეთანხმება ვურჩიო, საფრანგეთის ღირსებისათვის დამამცირებელი არ იქნება ამ გვარი შეთანხმება; ამ შეთანხმებას დროებითი ხასიათი ექნება და მტკიცედ აღნიშნული საგანი. გერმანიასთან კავშირი-კი შეუძლებელია. ეს დანაშაულობაც იქნებოდა.“ სხვათა შორის, კასსანიაკი თხოულობს წერილს ერთის წარჩინებულის დიპლომატისას, რომელიც ამბობს, რომ ინგლისს ეშინიან რუსეთისა საფრანგეთისა და გერმანიის შუა სახალშენო შეთანხმებისა და არაფერს არ დაზოგავს, რომ ამ შეთანხმებას ხელი შეუშალოს. ინგლისს იმედი აქვს, რომ ვალდეკ-რუსსოს სამინისტროს სამი წევრი ამ შეთანხმების წინააღმდეგი იქნებიან.

იოკაჰამა. სეულიდგან იტყობინებიან, რომ კორეის მთავრობა ნებას არ აძლევს იაპონიას კორეის ზღვის ნაპირებზე ტელეგრაფი გამართოს, რადგანაც კორეა თვითონ ჰფიქრობს ამ საქმის ასრულებას.

პადერბორნი. „ვესტფალის სახალხო გაზეთის“ სიტყვით, ნაშუადღევს სამგზავრო მატარებელი ბერლინიდგან მომავალს მატარებელს დასჯახებია, როგორც ამბობენ ოც კაცზედ მეტი დაჭრილა და ექვსიც მოკლულია თურმე.

ბათუმი. 7 დეკემბერს, სალამოს 5 საათზედ, კასპისა და შავის-ზღვის სანავთო—სავაჭრო საზოგადოების ქარხანაში ცეცხლი გაჩნდა ერთის მუშის გაუფთხილებლობისა გამო. ცეცხლი მოედო საზოგადოების სახელოსნოებსა და შემდეგ გადვიდა სნზოგადოების ტყის მასალის საწყობზედ. კარგის ამინდის გამო, აგრეთვე იმის გამო, რომ ბევრი მუშა შეაგროვეს, წყალიც ბლომად იყო და ცეცხლის საქრობი მანქანებიც, ჯეცხლი ჩააქრეს მეორე დღის დილის 5 საათზედ. დაიწვა დიდ-ძალი ხის ყუთი, ტყის მასალა და სხვა-და-სხვა ზეთი. სულ 230,000 მანეთისა. დამწვარი საქონელი დაზღვეულია „Россія“-სა და „Сѣверное общество“ში.

ვარშავა. ვარშავის სახალხო სკოლების მასწავლებელთა ჯამაგირების მომატების შესახებ ლაპარაკია აღძრულ სახალხო სკოლებში მასწავლეთაი. რაცხვი 7,533-მდე ადის. 1 იანვრიდგან ლუდზე აქციზს შემოიღებენ იმის მიხედვით, თუ რამდენს ახმარებენ ქერს, რომელსაც ავტომატურ სასწორის საშუალებით გამოირკვევენ. იაბლოანოვავერსის რკინის გზის შტოს მმართველობამ გარდასწყვიტა, ყველა მსახურნი დაზღვიის შემთხვევისაგან. „ნევ-იორკ-ჰერალდ“-ის აქაურს გამოცემაში დაბეჭდილია ბურების დელეგატის ვოლმარანის აზრი: „ბურების დელეგატები ბედნიერები იქნებოდნენ, თუ ინგლისის კაბინეტი და სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკების მთავრობა მორიგდებიან. ინგლისმა რომ მცოდნე წარმომადგენლები გამოგზავნოს ჰოლანდიაში და თავისი პირობები, რომლებიც საფუძვლად დაედება საშვიდობო მოლაპარაკებას, იგინი დიდის სიამოვნებით მიეგებებოდნენ,—და. უეჭველია, ამ გზით შეიძლებოდა ბოლო მოჰღებოდა ომს.

ლიონი. პარიჟ-ლიონ-ხმელთა შუა ზღვის რკინის გზის მატარებელი დაეჯახა ქალაქის ტრამვაის ვაგონს. სამი კაცი მოკვდა, რამდენიმე დაიჭრა.

კასსელი. რკინის გზის მმართველობა კასსელში აცხადებს, რომ ალტენბეკსთან მატარებლის დამსხვრევის მიზეზი მეისრის შეუწყნარებელი დაუდევრობაა.

პადერბორნი. ოფიციალურად მატარებლების დაჯახების დროს ხუთი კაცი მოკვდა, ათი ძრიელ დაშავდა, 12 მგზავრი და 6 მსახური სუბუქად დაშავდა. მკვდრები და დაშავებულები პადენბორნის საავადმყოფოში მიიტანეს.

პეკინი. იუანშიკაიმ იაპონიის ოფიცრები მიიწვია სამხედრო სკოლებში მასწავლებლებად. იაპონია მზად არის გაგზავნოს ჩინეთში თავისი გენერალი ჩინეთის ჯარების ევროპიულად გასაწვრთნელად.

ბომბეი. კოვეიტის ნავთ-სადგურში რუსეთის კრეისერი „Варягъ“ მოვიდა. გემის უფროსმა მასკატსკის სულთანი ინახულა. რუსეთის ექიმები ორმუზსა და კიშიმში იყვნენ და გაიცნეს ადგილობრივი სანიტარული მდგომარეობა.

ლონდონი. რუსეთის დელეგატებმა დეპეშით მადლობა გარდაუხადეს ინგლისის მეფეს, რომელმაც ნება მისცა მათ ვინძორში მეფის მამულები დაეთვალიერებინათ. ინგლისის მეფემ ბრძანება გასცა, რომ კრიუკოვს მეფის სიამოვნება გადასცენ იმის გამო, რომ რუსეთის დელეგატებმა მისი მამული დაათვალიერეს.

9 დეკემბერი

პეტერბურგი. პერმის გუბერნატორისაგან წარდგენილ ცნობების თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოუსავლიანადა სცნო პერმის გუბერნიის შემდეგი მაზრები: ვერხოტურსკი, ირბიტსკი, კამიშლოვსკი და შადრინსკი. უმაღლესის ბრძანებით, დიდის მთავრის ალექსანდრეს თავმჯდომარეობით შესდგა მოლაპარაკება საზღვაო ვაჭრობის დებულების პროექტის შესადგენად.

ბაქო. 8 დეკემბერს გაიხსნა ნავთის მწარმოებელთა მე-XVI კრება. მიწად-მოქმედების საბჭოს წევრის სამთო ინჟენერის დევის თავმჯდომარეობით. 8 დეკემბერს ღამის პირველ საათზედ თავის სახლში გაძარცვა პავლე ასლანოვი ბოროტ გამზრახველთა ბრბომ.

ორენბურგი. 25 ნოემბერს სტანიცა კუნდრავინსკში საშინელი მიწის ძვრა მოხდა.

პარიზი. 265 მილიონის სესხისათვის პარიზის საკრედიტო დაწესებულებებში და კერძო ბანკებში ხელის მოწერა გაიმართა. საერთო ჯამი შეკრებილისა მოსალოდნელს აღემატება. დასასრულ აღმოჩნდა, რომ შეკრებილი ფული 24-ჯერ აღემატა სესხს. მარტო პარიზში აღემატა 23-ჯერ; პარიზის ხაზინაში შეტანილია 933,315,000.

ბარისბიტი. გენერალი დარტნელი მცირე მხედრობითა და იომანრებით 5 დეკემბერს ლანგბერგს ახლო შეებრძოლა დევეტს, რომელსაც 800 კაცი ჰყავდა და თანაც ერთი ზარბაზანი. 4 საათის ბრძოლის შემდეგ ბურები გაჰფანტეს. გენერალი კამპბელი, რომელიც ბეთლემიდგან მოვიდა, აგრეთვე იღებდა მონაწილეობას ამ ბრძოლაში. ბურებს მოუკლეს 5 კაცი, 20 დაუჭრეს და 2 ტყვედ წაიყვანეს; ინგლისელებს მოუკლეს ერთი, დაუჭრეს 4 ოფიცერი და ათი ჯარის-კაცი.

რეველი. 7 დეკემბერს ინგლისის გემი „გემპხედი“, რომელიც ბელფასტიდგან მოდიოდა და თან ბამბა და სხვა საქონელი მოჰქონდა, კუნძულ ბულფასთან დაშავდა. გემში წყალი შედის. ბალტიის საზოგადოების სამი გემი დღე და ღამ მუშაობს და რამდენიმე საქონელი გადაარჩინეს კიდეც.

სოფია. სამინისტროს კრიზისი გათავდა; ისევ ეხლანდელი კაბინეთი დარჩება. საერო კრება სულ მოკლე დროში დაიწყებს თავისს მოქმედებასა.

განცხადებანი

მკურნალი

ნ. ტ. მულინი.

იღებს ყურითა, ყელითა და ცხვირით ავადმყოფებს ყოველ-დღე ნაშუადღევის 1—3 საათამდე და სალამოს 4—8-მდე. სუდებნაია № 17.

(წლ.)

ქ. ქობულეთში

ისყიდება აგარაკი თავად მაჭუტაძისეული, რომელიც ეხლა ეკუთვნის კნეინა მარიამ ალექსანდრე მაჭუტაძის ასულს წერეთლისას. პირობები ქუთაისში მარიამ მომფორიასთან.

(3—ნ.—1)

პატივცემულ ქართველ საზოგადოებას



გვაქვს პატივი ვაუწყოთ, რომ ამ დღეებში ჩვენმა სავაჭრო ფირმამ საზღვარ-გარეთიდგან მიიღო მრავალი ხელისა და ფეხის საკერავი მაშინა სხვა-და-სხვა ფაბრიკებისაგან. ჩვენი სავაჭრო ფირმა პირიანად ჰყიდის სხვა-და-სხვა სისტემის მაშინებისა ამასთან მყიდველს დაეთმობა მაშინა მომეტებულ პროცენტით, ვიდრე სხვაგან სადმე ტფილისში რისთვისაც ყველა მაშინის შეძენის მსურველს ვთხოვთ მობძანდეს და დარწმუნდეს სინამდვილეში.

ფირმის წარმომადგენელნი: გიორგი ანდრიას ძე ლაზარაშვილი და დიმიტრი დავითის ძე ჯმუხაძე.

ადრესი: სიონის ქუჩა, მაისურაძის და ხოჯაფარუხოვის ქარვასლა, № მაღაზიისა 5. და 53.

ტელეგრამის ადრესი: ტფილისი, ლაზარევი და ჯმუხაძე, ტელეფონი 756.

(25—16.—19)

განმარტება

საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობის გამგეობისაგან.

ხშირად გვეკითხებიან, პირად თუ წერილით: „ფარმაცევტების გარდა“ სხვებსაც შეუძლიანთ წევრებად ჩაწერა თუ არაო; ან კიდევ: „ქალებს“ მიიღებთ წევრად თუ არაო?

პასუხად ამ კითხვებისა ვაცხადებთ, რომ ფარმაცევტებმა მხოლოდ დავაარსეთ ეს ამხანაგობა, **წევრებად-კი ყველანი მიიღებიან განურჩევლად სქესისა.**

პაი ღირს **ხუთი თუმანი.** მსურველს შეუძლიან პაის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს წლის განმავლობაში.

ამხანაგობის დეპო და გამგეობა ამყოფება თბილისში, მუხრანიანთ ქუჩაზე, ალხაზაშვილის სახლში.

განყოფილება

სასახლის ქუჩაზე, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товариществу Фармацевтовъ.

(10—ნ.—6)

ტელეფონი № 741.

ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ „Фармацевтика“.

Годъ XVIII.

Открыта подписка на 1902 годъ

на издающуюся въ городѣ Ставрополѣ-Кавказскомъ общественно-литературную и политичесскую газету

„Сѣверный Кавказъ“

(съ Октября 1901 г. форматъ газеты увеличенъ)

выходящую три раза въ недѣлю—по вторникамъ, четвергамъ и субботамъ—и посвященную выясненію нуждъ края, названіе котораго она носитъ.

ВЪ ПРОМЕЖУТОЧНЫЕ ДНИ—среду, пятницу и воскресенье выходятъ ТЕЛЕГРАММЫ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой и пересылкой:	р. к.	Безъ доставки и пересылки:	р. к.
На годъ	5 50	На годъ	4 50
„ полгода	3 —	„ полгода	2 50
„ 3 мѣсяца	1 75	„ 3 мѣсяца	1 50
„ 1 мѣсяцъ	— 60	„ 1 мѣсяцъ	— 50

Суммы менѣе рубля можно высылать почтовыми марками.

Допускается разсрочка платежа—по соглашенію съ редакціей.

Адресъ: Ставрополь-Кавказскій, редакція „Сѣвернаго Кавказа“. Телеф. № 36.

Пріемъ объявленій: въ Ставроп.-Кавк. въ ред. и тип. „Сѣв. Кав.“ въ Москвѣ и Петербургѣ въ конт. Торг. Дома Л. и Э. Метцль и К°

Издатель В. В. Беркъ. Редакторъ Д. И. Евсѣевъ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11-го Декабря 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118 დროებითი რედაქტორი ალ. ხარაჯიშვილი.
გ [illegible] ზავზავაძე.